

1937

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

მშობობრვა



1937ბ

№12



ოქტომბრული

№ 12
დებემბერი
1937 წ.

საბ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის ბაზ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-22-61

საბ. კ. კ. ც. კ-ის და საბ. განსახკომის ირეთშიური ორბანო

შინაგონი

1. სიკვდილი ქირონი	33-1
2. გიორგი ძუჩინილი,—ნაძვის ხე (ლექსი)	2
3. ლილია მხარამიძე,—ნაძვის ხე (ლექსი)	3
4. გიორგი კახაიძე,—ვიმღერებ და წავიკითხავ! (ლექსი)	4
5. შალვა თაბუკაშვილი,—შოთამ ვაიმარჯვა! (ლეგენდა)	5
6. იასაშანი,—საჩუქარი (ლექსი)	6
7. ბაზილინა,—შადება ახალწლისთვის (ლექსი)	7
8. შალვა მახინავაშვილი,—ბეჭემოტან ბრძოლა (მოთხრობა)	8
9. სანდრო შლენდო,—ნაჩუქარი ჯობი (ლექსი)	10
10. არჩილ დავითიანი,—შო მღვიმელი (წერილი)	11
11. პარმენ ხანიშვილი,—ფლამინგო (წერილი)	13
12. შლ. კახიანი,—ფთარი (ნარკვევი)	14
13. ნიკო კაცოშვილი,—დროზერა (ნარკვევი)	15
14. თამარ შავიჩაშვილი,—მეგობრებო ხელი ხელს (ნოტი)	16
15. გ. შავია,—გამოცანები (გასართობი)	გარეკანის მე-3 გვ.
16. „ვატიმინიქიდან“,—შემთხვევა ტყეში (გასართობი)	მე-4 გვ.

ყლის შატერობა ეკუთვნის შატვარ ირ. გეგნერს.
ფორნალი ვაფორმებულია შატვარ ივ. ჯაფოშვილისა და ირ. გეგნერის მიერ.

პ/მგ. რედაქტორის, მაგიერ ლ. ზინინაძე

გადეცა წარმოებას 2/XII-1937 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XII

ქალაქის ზომა 60x92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¹/₂x14



სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ხალხის საზოგადოებრივი მტრების ტყვიამ ვერაგულად მოკლა სერგეი პიროვის ძე კიროვი. შესანიშნავი და ბრწყინვალე კიროვის ცხოვრება, იგი მაგალითია მომავალი თაობის აღსაზრდელად.

კიროვი ეოცხოვრობს მშრომელთა გულსა და სხვენაში, როგორც შეუღრეკელი სტალინელი, როგორც უშიშარი პროლეტარული რევოლუციონერი, როგორც შეუღრეკელი მებრძოლი ლენინ-სტალინის საქმის ყველა მტრის წინააღმდეგ.

კიროვის ღრმა მშობლიური სიყვარული უყვარდა ზვენი ბენდიერი ჰეგნის ბავშვები. როცა მას თავისუფალი ღრო ჰქონდა, ბავშვებს იზარებდა თავისთან, ან მათთან მიდიოდა სკოლებში და ეცნობოდა მათი ცხოვრებისა და სწავლის პირობებს.

1934 წლის გაზაფხულზე ლენინგრადის ქარხანა „მეტალისტთან“ არსებულმა პიონერთა რაზმმა საგზაფხულო გამოსვლების მოახლოებისას დაკავშირებით წერილი გაუგზავნა ამხანაგ კიროვს. ამ წერილზე კიროვმა პიონერებს ასე უპასუხა:


„მურავილდ გისურვებ წარმატებით დაამთავროთ სსსრული წელი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კოლექტივის ყველა წევრი გადავა შემდეგ კლასში „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნებით, ხაფხულში კი გაამარჯვრეთ თქვენი ჯანმრთელობა ბანაკებში, მოედინებზე, ქალაქგარეთ, მოკიდეთ ხელი ფიზკულტურას, გამოაწრთეთ თქვენი კუნთები, თქვენი ჯანმრთელობა, რომ მომავალ წელს უკეთესად ისწავლოთ.“

კონსტანტინე სალაძით ს ა ი რ ა ვ ი

კიროვის წერილმა ბავშვები ძალიან გაახარა. მთელი კოლექტივი შრომობდა, რომ კიროვის წინაშე არ შერცხვნილიყვნენ. პიონერრაზმში 37 ბავშვი იყო, და ამხ. კიროვის წერილის შემდეგ მთელი კლასი წარმატებით გზავიდა მეზოთე კლასში.

სასწავლო წელი რომ დამთავრდა, სკოლაში დღესასწაული გაიშართა, ბავშვებს კიროვი ესტუმრათ. ისინი შემოეხივივნენ საყვარელ ადამიანს, მოუთხრობდნენ თავიანთ ბედნიერ ცხოვრებაზე, თავიანთ სიხარულზე და წარმატებაზე.

ერთხელ, სრულიად შემთხვევით, კიროვმა გაიგო, რომ ძერკინსკის სახელობის საქსოვ ფაბრიკაში (ლენინგრადში) მომუშავე ერთერთი მქსოველ ქალს ხუთი წლის ბიჭი ჰყავს, რომელიც დაავადებულია ძველების კლექტით. საჭირო იყო ხანგრძლივი მკურნალობა. კიროვმა გაიგო თუ არა ეს, იმავე დღეს გაგზავნა ფაბრიკაში თავისი მდივანი, მოამძვინა ბავშვის დედა...



გავიდა ხანი, და კიროვის მზრუნველობის შედეგად ეს ბავშვი საესებით გაჯანსაღდა.

ასე ახლოს იდგა კიროვი ბავშვებთან, ასე მშობლიური გრანობებით ეპყრობოდა მათ.

კიროვი ეოცხოვრობს მშრომელთა გულსა და სხვენაში, როგორც შეუღრეკელი სტალინელი, როგორც უშიშარი პროლეტარული რევოლუციონერი, როგორც შეუღრეკელი მებრძოლი ლენინ-სტალინის საქმის ყველა მტრის წინააღმდეგ.

8002





სალამი ნაძვის ხეს,
ჩვენს ტურფა პირიშხეს,
რა თეთრი მანდილით
მორთულა ამ დილით!
კაბა აქვს ატლასის,
ლილეები აღმასის,
თვალეების ციმციმით
გვიშხერს და გვიცინის.

გამარჯობა, ნაძვის ხევ,
თმაშუქტურა პირიშხე!
ეს რა მოგიტანია
აკიდული მკლავებზე?
ამდენი საჩუქარი,
ვაშლი, თხილი, ბიები,
ფორთოხალი, ჩურჩხელა,
მარგალიტის მძივები,
ლალ – ფირუშის კაკები,
სალამური და თარი...
ვენაცვალე შენს გამჩენს,
რა კარგია ზამთარი!
შარშან ამ დროს, ლამაზო,
თოვლის გუნდი გეყარა.
გახსოვს? ჩიტმა პატარა

თავი შემოგაფარა.
ხომ არ დარდობ იმ ამბავს
ჩაფუთენილი ფარჩებში?
გაუცხაროთ: ამ ზამთარს
ჩვენს დარბაზში დარჩები.
არც ქარბუქი მოგაწყენს,
არც თოვლქუყაპის დინება,
დღით მოლხენილს, ნავახშმევს
ტკბილად ჩაგეძინება.
კვლავ სიმღერა – ალერსში
იმ ტყეს ვინ მოიგონებს...
შეხე, აგერ პოეტი
გიწერს ლექსის სტრიქონებს.

კიდევ მოვა სხვა სტუმარი,
ჩამოგართმევს ხელს.
გეტყვის: დიდხანს მოველოდი
ძვირფას „სანატრელს“.
ვის ახსოვდი...
ვინ უმღერის
ტყეში ნაძვის ხეს!
– გამარჯობა, თეთრქათიბა
ტურფა პირიშხე!





გიორგი კახანიძე

ვიმღერებ და წაკითხავ!



ჩემს ტოლებში დღეს მეც ვაზბობ
სიყვარულით შოთას სახელს;
მეც ვცნობილობ შოთას სურათს,
შოთას წიგნიც ჩვენსას ვნახე.

გაკვირვებით რომ ვუცქერდი,
— გაშალეო, — დედამ მითხრა...
გადავფურცლე, მომეწონა,
მაგრამ კი არ წამიკითხავს.

დაეხურე და გაუღიმა
გაცინებულ დედის თვალებს;
თან შემრცხვა და, აი, მინდა
გაეიზარღო დიდი მალე!

მაშინ „ვეფხისტყაოსანსაც“
არ დაეხურავ დიდხანს, დიდხანს
და ხმაშაღლა შოთას სიტყვებს
ვიმღერებ და წაკითხავ!

—

შოთამ კაიძარჯვა!



უზის გაფრენასაც კი ვაიგონებდით, ისეთი სიზუმე იყო. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ, თუ რას უამბობდა მათ ძია გოგი შოთა რუსთაველის შესახებ...

— თქვენ იცით, ბავშვებო, რომ წელს 750 წელი სრულდება შოთა რუსთაველის დაბადებიდან და მთელი

ქაბუკოთა კავშირი ზეიმობს ამას. შოთა ძალიან დიდი მწერალია, მისი «ვეფხისტყაოსანი» შესანიშნავი წიგნია, და ამიტომაც არის, რომ მშრომელ ხალხს უყვარს შოთა რუსთაველი. აი, ახლა ვიამბობთ ერთ ხალხურ თქმულებას შოთას შესახებ. აბა დავიწყოთ...

დიღუბის მინდორი ხალხით იყო გაქედილი, აქ მოეყარათ თავი გამოჩენილ რაინდებს, ქალებს, ბავშვებს. აქვე იყო თამარ-მეფეც. პოეტ შოთა რუსთაველს «ვეფხისტყაოსანი» დაესრულებინა და მის პატივსაცემად დღეისათვის შეჯიბრება დაენიშნათ დიღუბის მინდორზე. ერთმანეთს უნდა გასჯიბრებოდნენ ჯირითში, მშვილდ-ისრის სროლაში, თარის დაკრაში, ცეკვაში, სიმღერაში...

დაიწყო შეჯიბრება. ხალხი ტაშით აჯილდოვებდა გამარჯვებულებს.

შოთამ თავი ისახელა ჯირითში, ის თვალწარმტაცად მოაქროლებდა ცბენს და სხვა მხედრები უკან მოიტოვავ.

მერე თარის შესანიშნავი დაკრითაც გააოცა იქ მყოფნი. ხალხი გუგუნებდა, ყველგან გაისმოდა შოთას ქება-დიდება. გამარჯვებულებს ჯილდოები ჩამოურიგეს—ძვირფასი ხმლები, ხანჯლები, ხავერდის ქულაჯები.

ამის შემდეგ, თამარ-მეფის ბრძანებით, შიკრიცებმა მხამალლა გამოაცხადეს:

— საუკეთესო ჯილდოს, ოქროს გვრგვინს, მიიღებს ის, ვინც ისრით გახვრეტს ვაშლს, რომელსაც თამარ-მეფე დაიჭერს ხელშიო.

ეს რომ ვაიგონეს, ხალხში ერთი აურხაური შეიქნა.

— როგორ შეიძლება!—გაიძახოდნენ ზოგიერთები,—ვინ იცის, ერთიც ვნახოთ და ისარი თამარ-მეფეს მოხვდესო!

— არა, არა, ამაზე არავინ დათანხმდება!—ამბობდნენ საუკეთესო მსროლელები.

ქალებს ძალიან აინტერესებდათ, აბა რომელი რაინდი გახვრეტს ვაშლსო, და გაბრაზებულნი ამბობდნენ:

— თქვენ ვინ გკითხავთ, რომ გაიძახით არავინ დათანხმდებაო! რაკი თამარ-მეფეს სურს, თუ კარგი ვაჭაკები ხართ, ესროლეთ ისარი და გახვრიტეთ ვაშლიო.

საუკეთესო მშვილდოსნებმა მოილაპარაკეს ერთმანეთთან, მერე მივიდნენ და მოწიწებით უთხრეს თამარ-მეფეს:

— თქვენი დავალება ძალიან სახიფათოა, მეფეო; თუმცა ჩვენი ისარი მიზანს ყოველთვის ხვდება, მაინც არ შეგვიძლია ამ დავალების შესრულება. გთხოვთ სხვა რამეში შეგვაჯობროთ ერთმანეთს, ამ სახიფათო დავალებას კი ვერანაირად ვერ შევასრულებთ.

თამარ-მეფემ ღიმილით თქვა:

— ჩემი დავალება სრულიადაც არ არის სახიფათო. გონიერი კაცი ამ ამოცანის გადაწყვეტას ადვილად შესძლებს. აბა, ვინ გახვრეტს ისრით ჩემ ხელში დაჭერილ ვაშლს?

— მე, — მშვიდად თქვა რუსთაველმა.

ხალხში ჩოჩქალი შეიქნა.

— ხომ არ გაგვიღი, შოთა? — შეუძახეს აქეთ-იქიდან.

— კიდევ რომ გახვრიტოს ვაშლი, ისარს შეუძლია თამარ-მეფის უკან მჯდომი რომელიმე მანდილოსანი დაამარცხოვს.

— არ ესროლო, შოთა, გონს მოდი! — ეუბნებოდნენ რაინდები. შოთამ აიღო ისარი, მივიდა თამართან, რომელსაც ცერითა და სალოკი თითით ეჭირა ვაშლი, მარცხენა ხელი მოჰკრდა ვაშლს, მარჯვენათი კი ისარი დაჰკრა და გახვრიტა.

— შოთამ გაიმარჯვა! — ხმამაღლა წარმოთქვა თამარ-მეფემ.

ხალხი გაოცებული იყო, ვერ მიმხვდარიყვნენ, რას ნიშნავდა ეს. მაშინ, თამარმა განავრძო:

— მე დავავალეთ ისრით ვაშლის გახვრეტა, მაგრამ ხომ არაფერი მითქვამს, თუ რა მანძილიდან უნდა გაგვეყვებინათ ეს? თანაც ვამბობდი, სახიფათო აქ არაფერია მეთქი. როგორც ხედავთ, შოთამ ადვილად გადაქრა ეს ამოცანა და ოქროს გვირგვინიც მას ეკუთვნის.

შოთას თავზე თვალწარმოტაცად აელვარდა ოქროს გვირგვინი.

— ვაშა შოთას, ვაშა! — გუგუნებდა აღტაცებული ხალხი...



იასამანი

თემოს საჩუქარი

მამამ თემოს შვილდ-ისარი გაუყეთა საგანგებო: ამიერიტ ნადირობის მძიმე საქმეს განაგებო. გაჰკრა თემომ და გამოჰკრა, დაიმშვენა იარაღი. გაღმა ტყვა სანადირო, გამოლომა კი — დიდი ბალი. ამბობს: უკან მოვიტოვებ როსტევისსა მისგან ზრდილი: ოცჯერ მეტსა დავხოც ნადირს მე — სპასპეტი¹ ავთანდილი. გაიარა და ბედურა

¹ ჯარის სარდალი

დაინახა უცბად ხეზე. ფიქრობს: ალბათ, წარმოდგენაც აღარა აქვს მას სპასპეტზე. დაუმიზნა და ესროლა, მაგრამ არ ჩანს ჩიტი მკვდარი. უფრო იმან გააკვირვა, რომ დაჰკარგა თვით ისარი! მამას სთხოვა: მიყიდეო კარგი თოფი, ის ტუმშრგვალი, სხვებმა ბევრი დახოცესო, მე ბედურად ვერ მოვკალი. „აი, შეილოო!“ — და თოფს მამა საყვარელ შვილს შესთავაზებს: „ჯერ არ ისვრის, თუმცა, მაგრამ სახლდა და დიდხანს გასძლებს“.

მაგრამ სად არის მანანა? ხიდან დავაპირე ჩამოსვლა, რომ პატარა მეგობარი მომეტენა. ნახევრამდის არც კი ვიყავი ჩასული, რომ ჩემი ფეხები შეებოდა რბილ და მოძრავ საგანს. შემკრთალმა ძირს ჩავიხედე. გაცეხული დავრჩი. უზარმაზარი ბეჭემოტი ჩვენს ხეს ზურგით მოჰყრდნობოდა და არხეინად ეძინა. რასაკვირველია, უკანვე ავტოკლი და ვანოს გვერდით გაეჩნდი. ფრთხილად გავაღვიძე და საშიშროება ვაცნობე. მეგობარს ფერი ეცვალა.

— რა ვქნათ ახლა? — იკითხა შეშინებულმა.

— მეტი გზა არ არის, უნდა დავიცადოთ, სანამ დარბაისელი ცხოველი ინებებს გაღვიძებას და წაბრძანებას, — მიუთხე მე.

— მაშ ამ თავგასიებული ტყვეები ვყოფილვართ!

— ასე გამოდის, — ვანომ მიძიმედ ამოიხრა. არც მე ვიყავი კარგ გუნებაზე. ხის წვერიდან შეშინებული მანანა ჩამოცოცდა და ფოთლებში მიიმალა. ეტყობა, ამას უფრო აღრე შეეშინია საარაკო ცხოველი და ზევით ავარდნილიყო. ახლა მიუხვდა: ჩემი გაღვიძება მანანას საქმე იყო.

ბეჭემოტი ძალიან მძლავრი ცხოველია, ამასთანავე მეტად ავგულიან და დაუნდობი. მართალია, ხორცს არა ჭამს, მაგრამ მასთან შეხვედრა ფრიალ სახიფათოა. ბევრი მონადირე გაუსრესია თავისი ბოძების მსგავსი ფეხებით.

თუმცა მე თოფით ვიყავი შეიარაღებული და ცოტაოდენი ტყვიებიცა მქონდა, მაგრამ ერთი ტყვია ბეჭემოტს ვერაფერს დააკლებდა, დანარჩენი ტყვიების დახარჯვას კი მოვერიდე, უფრო საჭირო შემთხვევისათვის შემოვიჩინე. ერთი წუთითაც არ მაიწყდებოდა, რომ ამხანაგებს მოწყვეტილნი ვიყოფებოდით აფრიკის უღრან ტყეებში და შეიძლება უფრო მეტი საშიშროებაც მოგველოდა. გარდა ამისა, ჩვენ ხომ კვება გვინდოდა. მარტო ხილით დიდხანს ვერ გავიტანდით თავს, საჭირო იყო ცხოველის ხორცი, და ცხოველს ცარიელი ხელებით ხომ ვერ დავიჭერდით, აქ თოფი უნდა მოგვეშველებია.

ვიჯექით ხეზე, ვუტდიდით, როდის ინებებდა გაღვიძებას არამკითხე დარაჯი. ბოლოს, როგორც იქნა, შეინძრა, ერთი მძლავრად გააზმორა და მდინარისაკენ გაემართა მიძიმე ნაბიჯით. ჩვენ ფრთხილად ვიწყეთ ხიდან ჩამოსვლა, რასაკვირველია, მიმავალ ბეჭემოტს თვალს არ ვაშორებდით. ყურებაში გართულ ვანოს ფეხი დაუსხლტა და ხიდან ძირს ბრაგვანი მოიღო. ხმაურზე ბეჭემოტმა ყურები ცქერა და ჩვენკენ მკვირცხლად შემოტრიალდა. კარგახანს ეძებდა ცეხლივით მოელვარე თვალებით უხილავ მტერს, მაგრამ რაკი ვერაფერი შეამჩნია, გზა განავრძო. ვიდრე მდინარეს მიადწევდა, ერთხელ კიდევ მოტრიალდა, რომ შეემოწმებინა, საფრთხე ხომ არ მოელოდა. საუბედუროდ, სწორედ ამ დროს შემასწრო თვალი, ხიდან რომ ჩამოვხტი. დამინახა თუ არა, დაალო თავისი საზარელი ხახა, საიდანაც მაჯის სისხო ეშვებმა გამოანათა, და ხარკით დაიღმუვლა. მე სწრაფად მოვიმარჯვე თოფი და საბრძოლველად მოვემზადე. ვანომაც ხანჯალი გაიძრო. ხეზე ასვლას მაინც ვეღარ მოვასწრებდით, ვერც გაქცევით ვუშველიდით თავს, — ბეჭემოტი აღვილად დაგვეწოდა. მეტი გზა არ იყო, საშიშ ცხოველს პირისპირ უნდა შევბრძოლებოდით.

ბეჭემოტმა ფეხით მიწას დაუწყო ცემა, ამით თითქოს გვანიშნა: მოემზადეთ, მოვდივარო. მაგრამ ჩვენ ისედაც მზად ვიყავით. ჯერ მიძიმედ წამოვიდა ჩვენკენ,



მერე კი დაიოთხა. იმავე წამს თოფმაც დაიჭექა. რაც ძალა და ღონე მქონდა, გვერდზე გადავხტე, რომ გამძვინვარებული ცხოველის თავდასხმა აშეცდინა. ვანომაც ჩემს მაგალითს მიჰბაძა. ბეჭემოტი ჩვენს მაგივრად ხეს დაეტაკა. ძლიერ დაჯახებას ხემ ვერ გაუძლო და გადატყდა. ბეჭემოტმა თავი ვერ შეიკაფა და ყირაზე გადაიარა. ვიდრე ფეხზე წამოდგომას მოასწრებდა, ვანო მივარდა და გვერდში ჩასცა ხანჯალი.

გამწარებული ცხოველი ზეზე წამოვარდა, მაგრამ კვლავ ჩაიკეცა. მეორე ტყვიამ მარცხენა თვალში გაუარა. ვანოს ხანჯალმაც ერთხელ კიდევ გაიელვა მის წინ. მიწაზე გართხულმა ბეჭემოტმა სასიკვდილო ხრიალი ამოუშვა.

ვანოს გამბედაობამ და სისწრაფემ ალტაცებაში მომიყვანა, მასზე სულ სხვა წარმოდგენისა ვიყავი, გამოვიდა, რომ ვცდებოდი.

მანანა ხიდან ჩამოცოცდა და ბეჭემოტს ფრთხილად მიუახლოვდა. რაკი დარწმუნდა, რომ მკედარი იყო, მის ზურგზე ჯირითი გამართა. პატარა მეგობარი ჩვენთან ერთად ზეიმობდა გამარჯვებას.



საზღვრის ქაღახი

საზღვრის ქაღახი

(გუბუნი 55 სკ. მე-7 კლ. ნაწიველ ვასო მუხრანოვილი)

შენ მარჯვე ჯღონთან ერთად, მხიარული ბავშვის გული ეს ჯღონი ზემ ნიშანია სიციცხლის და სიყვარულის. აქ ნღრჩემა ცქრიალებთ და თან კაქყებთ ზეკრდგამლალი, განთიადხ და მწეხ სიცილით ვეუბნებით ვღველ დილით.

მხიარული რღმ ხართ მუდამ, — მიხართია თქვენი ნახვა, თქვენთან ერთად ბურთაღმა, თითქმის ბავშვი ვიყუ ახლა. იზრდებით და თქვენი გაზრდა მღმავრებხ ვარდის კლორბ; ეს უზრდღ ნაშვის ჯღონი მიზრევნია ათას ღქრღხ.





ამი წელი შესრულდა, რაც გარდაცვალა ბავშვების საყვარელი პოეტი შიო მღვიმელი. ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ბავშვები მას მოფერებით ძია შიოს ეძახდნენ.

საქართველოს რომელ კუთხეშიც მივალთ, ყველგან ვნახავთ ბავშვებს, რომელთაც გაზეპირებული აქვთ შიო მღვიმელის ლექსები.

რით უნდა აიხსნას ეს?

ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ შიო მღვიმელს უპირველეს ყოვლისა უყვარდა ბავშვები, უყვარდა სულით, გულით, უყვარდა გრძნობით, მთელი არსებით. მართლაცდა შეუძლებელია ბავშვების ყურადღება და სიყვარული დაიმსახურო, თუ შენ თვითონ არ გიყვარს ბავშვები. „ძია შიოს“ მხოლოდ ბავშვების სიყვარული იტაცებდა, მხოლოდ მათთვის ამღერებდა თავის პოეტურ ქანარს, მხოლოდ მათ ღიროსა და ღბინში იყო გართული. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის იგი ოცნებობდა:

„ვნატრობ: გამაძლე, ბუნება,
ბავშვების სიყვარულითა“.

შიო მღვიმელისათვის ბავშვების სიყვარული მისი სიცოცხლის პირველი მოთხოვნილება იყო, იგი არსებობდა ბავშვების სიყვარულით. ეს სიყვარული მას ახალ ძალას ჰმატებდა.


„მუდამ თქვენი სიყვარული
მამხნევეს და მასალკლდეებს“ —

გულახდილად აღიარებდა პოეტი. შიო მღვიმელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სისადავე და თვალის მომპრელი სიმარტივე.

ადილი არ არის მარტივად, ბავშვებისათვის გასაგები ენით წერა. საჭიროა დაწვრილებით შეისწავლო ბავში, ბავშვის ხასიათი, საჭიროა ახლოს იდგე ბავშვებთან.

ანკარა ნაკლულივით მოლივილებს შიო მღვიმელის ლექსები, იგი ერთნაირად გასაგებია ყველასათვის. არავითარი ბუნდოვანი, დამძიმებული სტრიქონები, არავითარი ზედმეტი ფრაზები. რამდენიმე სტრიქონით იგი ბავშვის თვალწინ მთელ სურათს გაშლის.

თავისი მარტივი ენით და სადა შინაარსით მიმზიდველია შიო მღვიმელი, იგი ბავშვების მისწრაფებისა და მოთხოვნილების შეუღარებელი მესაიდუმლეა. არ



არის დარჩენილი ბავშვების ცხოვრების არც ერთი კუნძული. რომელიც შიო მღვიმელს თავისი შემოქმედების ჩირალდნით არ გაეშუქებოდა.

50 წელიწადი შიო მღვიმელი თავს ევლებოდა ბავშვებს. 50 წელიწადი შიო მღვიმელი თავისი შემოქმედებით ატკობდა და ახარებდა ნორჩი მკითხველების გულს.

არ არის დარჩენილი არც ერთი საბავშვო ჟურნალი, სადაც შიოს არ დაე-ბეჭდოს საბავშვო ლექსები, რომლებშიაც იგი ბავშვებს ეალერსება, ამზეურებს მათს სულსა და გულს.

სოციალისტური სამშობლო უდიდეს მზრუნველობას იჩენს ახალი თაობისადმი. მხოლოდ საბჭოთა კავშირის ბავშვები წარმოადგენენ მსოფლიოში უბედნიერეს ბავშვებს. შიო მღვიმელის შემოქმედებამაც, როგორც ბავშვების აღზრდის საშუალებამ, ნამდვილი დაფასება დღევანდელ სინამდვილეში ჰპოვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მისი გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოსცა მისი ლექსების სქელი კრებული, რითაც უკვდავი ძეგლი აუგო შიო მღვიმელის ხსოვნას. საბჭოთა საქართველოს ბავშვები, რომელთაც საუკეთესო სიცოცხლე და მომავალი ხვდით წილად, ყოველთვის აღფრთოვანებული კითხულობენ თავისი საყვარელი პოეტის შიო მღვიმელის ლექსებს, რითაც უკვდავყოფენ თავისი დიდი პოეტის შიო მღვიმელის ხსოვნას.



ფლამინგო

ფლამინგო წყალში მცურავი ფრინველია, როგორც გედი, ბატი, იხვი, ვარხვი (პელიკანი) და ასეთები. ფლამინგოს ძალიან გრძელი ფეხები და კისერი აქვს. მკერდზე და მხრებზე ვარდისფერი გადაჰკრავს, ისე თეთრია. მსხვილი და მოკეცილი ნისკარტი რომ არ აუშნობდეს, ძალიან ლამაზი ფრინველია. ნისკარტი კი იმიტომ აქვს მოკეცილი, რომ წყლის ფსკერზე, ნალექში ეძებს და იჭერს წვრილ ცხოველებს. ასეთ საქმეში მოკეცილი ნისკარტი ძალიან მოხერხებულა.


ფლამინგოს სამშობლოდ ითვლება აზიის ჩრდილოეთი ნაწილი, მაგრამ ცხოვრობენ სხვა ქვეყნებშიც და საბჭოთა კავშირშიც.

ფლამინგოები გუნდად ცხოვრობენ ზღვის ან მდინარის პირას, სადაც მარჩხი წყალია. ბუდეს აკეთებენ ნალექისაგან. დედალი ფლამინგო დებს ერთ კვერცხს (იშვიათად ორ-სამს) და დაჯდება გამოსაჩეკად; როცა ის საქმლისათვის წავა, მამინ მამალი დადგება ბუდესთან და დარაჯობს კვერცხს ან გამოჩეკილ წიწილას.

აქ მოთავსებულ ფოტოგრაფიულ სურათზე ნაჩვენებია ყველაფერი ეს. აგერ წყლის ნაპირას ბევრი ბუდეა. აგერ დედალი ფლამინგო კვერცხებს აზის. იქვე მამალი ფლამინგოები კვერცხებს დარაჯობენ. სულ წინ კი მამა ახალგამოჩეკილ შვილს ეალერსება, სანამ დედა მოვიდოდეს.



აფთარი



აფთარი ძაღლის მსგავსი ცხოველია. მას კისერი შედარებით მოკლე აქვს, თავი დიდი და მაგარი კბილებით აღჭურვილი, ფეხები ღონიერი, ბასრი ბრჭყალებით შეიარაღებული.

აფთარს არ შეუძლია ჩვეულებრივი სიარული, ის მგელივით დაძუნძულობს ან დაოთხილი გარბის, თუ რაიმე საფრთხეს შენიშნავს. წარმოუდგენელია აფთარზე უფრო საზოგადოებრივი ცხოველი. ის მუდამ მოლუშულია, ყოველთვის გაბოროტებული, ავი საქმის ჩადენის მაძიებელი. ვინ იცის, მისგან ადამიანი როგორ შევიწროვდებოდა, რომ საქმა ძალასთან ერთად საქირა გამბედაობა არ აკლდეს. სწორედ სიმბდალად ზედმეტი სფრთხილე ვერ ხდის მას ფრად საშიშარ მტაცებელ ცხოველად. დღისით ის სადმე სოროში ზის, ღამით გამოდის და ნადირობს. მისი ნადირობა სრულიად არ არის დიდი სიმამაცისა და მოხერხების ნაყოფი. ნაცვლად ცოცხალ მსხვერპლზე თავდასხმისა, ის მეტწილად მძოვრსა და ლეშს ეძებს. მკვდარი, გახრწნილი ცხოველი აფთარის საუკეთესო საკვებია. ის ლეშს დიდი რიხით ესხმის თავს და თავშეუკავებელი ვაჟმამძრობითა და სიხარბით ჭამს, ამ სრულიად არასამამაცო საქმეში აფთარი ისეთ გახელებულ სიმსუნავესა და მოუთმენლობას იჩენს, რომ ჩვენს ენაში ამის აღსანიშნავად განსაკუთრებული თქმაც კი არსებობს: გააფთრებული იბრძვის, გააფთრებული ჭამსო.

აფთარი აფთარისა, უხასიათო აფთარი არავის არ უყვარს, მეტადრე ერთი საშინელი ჩვეულების გამო ის საშინლად სძაგს ყველას. საქმე იმაშია, რომ არამზადა აფთარი, თუ სადმე მოახელებს,

სიამოვნებით კისრულობს ადამიანთა საფლავების გადათხრას. მისთვის ლეშში საუკეთესო საკვებია. ახალი, ცოცხალი მსხვერპლის დაგლეჯა მას არ ეხერხება, ამიტომ არჩევს იოლ სანადირო გზას. აფთარს ყვაე-ყორნებთან ერთად დიდ სარგებლობას აძლევს ადამიანთა ურთიერთ ბრძოლა და ომი. ბრძოლის ველზე მიტოვებულ გვამებს ის ყვაე-ყორნებთან ერთად ურცხვად ეპატრონება და დაუღალავად ასრულებს თავის „საპატრო“ საქმეს. ქვეყნად არ არის ხალხი, რომელიც აფთარს კარგად იხსენიებდეს. საცა არ გაიგონებენ მის შემხარავ ღმუილს, ყველა მას რისხვას და შეჩვენებას უგზავნის,



ბევრ ჩამორჩენილ კრუმორწმუნე ხალხს აფთარი ავისულის მატარებლად და უბედურების მათუწყებლადაც კი მიიჩნია. შეიძლება თუ არა აფთარის მოშინაურება? ბევრმა მეცნიერმა ხანდაზმული ცემა-ტყეპის შემდეგ მოახერხა აფთარის ისე მოშინაურება, როგორც ძაღლისა. მოშინაურებული აფთარები ადამიანისადმი გასაოცარ სიყვარულსა და ერთგულებას იჩენენ, ძალღვივით დასდევენ, ელაქუცებიან, წყმუტუნებენ და სხვა, მაგრამ, როგორც ყოველ გარეულ ცხოველზე, მინც შეუძლებელია მასზე სავსებით დანდობა.



ლამაზი და მომხიბლავია ჩვენი შავი ზღვის პირი, ცხრათვალა მზე აელვობრებს შავი ზღვის ტალღებს. აქ, ამ სანაპიროზე ყვავის ლიმონი და ფორთოხალი, ჩაის პლანტაციები ფარავენ გორაკის ფერდობებს, ცამდე აჭრილან თეთრტანა ვეკალიტები, ნაყოფით დატვირთულა ფეიხოა და ტუნგო.

ამ ათიოდე წლის წინათ ეს მხარე გაუფალრი, ჭაობებით იყო დაფარული, მაგრამ დააწრეს ეს ჭაობები, ჭაობთა ნაცვლად პლანტაციები გაშენდა.

ზოგან კიდევია დარჩენილი ასეთი ჭაობები, მაგრამ მათაც დააწრობენ და სანამდის მთლიანად დაწვებოდნენ, მინდა ერთ პაწაწინა, მაგრამ უცნაურ მცენარეზე ვიამბოთ.

ქობულეთის მახლობლად და სხვაგანაც მოპოვება ტორფიანი ჭაობები, რომელნიც მთლიანად დაფარულია ღია ფერის ხავსით. ეს ხავსი ისე მოედება ხოლმე ჭაობის ზედაპირს, რომ სხვა მცენარეს არც კი აუპაჟანებს, მაგრამ ზოგიერთი მცენარე მაინც შეიჭრება ხოლმე შიგ და ცხოვრობს. აი ამ სხვათა შორის არის ერთი პაწაწინა მცენარე, მიწის პირიდან ერთი ციდაც არ იქნება. ხავსის საბანზე გადუწყვია ათიოდე ფოთოლი და მათ შორის კი წვრილყვავილიანი ღერო ამოდის მოთეთრო ყვავილებით შემოსილი.

ფოთოლია აქ საინტერესო, იგი ქვევიდან მწვანეა, ზემო მხრიდან მოწითალო ფერი დაჰკრავს. გარდა ამისა, ამ ზემო მხარეზე უხვადა სხედან თავმოყრილი ბეწვები; ეს მსხვილი ნაწილები მსუსხავი და წებოსნაირი სითხით არიან ამოვსებული, რომელიც კარშიც ვონახვს.

აი, ხედავ, მობზუის პაწაწინა მწერი, ცა ქულად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად. დანახა მოწითალო ფოთოლი, ფრენა შეგნელო, შემოუარა გარშემო, წრე დაჰკრა, არც აცია, არც აცხელა და დაჯდა ზედ, დაჯდა და ნეტავ არ დამჯდარიყო.

ფოთოლი თითქოს ამოძრავდა, ბეწვები იხრებიან და მწერს ეხვევიან, თითქოს მიხვდა მწერი საფრთხე მომეცოსო, უნდა აფრენა, მაგრამ ვეღარ ახერხებს: ბეწვის თავიდან გამოეონილ ლორწოს დაუბამს. აქანაგებს დეხებს, ფრთებს, მაგრამ ამით უფრო მჭიდროდ ეკვრება ზედ...მალე ეს ბეწვები სულ ფარავენ ამ მწერს. აი, ბზუილიც აღარ-ისმის

რა მოხდა ნეტავ?

რამდენიმე ხნის შემდეგ ნელნელა სწორდება დახრილი, მწერს შემოხვეული ჯირკვლები, და ხედავ, რომ მწერის მხოლოდ გამოფიტული ჩონჩხი-და დარჩენილა, დანარჩენი მას საზრდოდ მოუხმარია, შეუსრულტავს.

ცხრათვალა მზე კი ისევ ანათებს, გააშრობს ფოთლებს, მწერის ჩონჩხს და სალამოზე ზღვიდან ამოქროლილი ნიავე ამ ჩონჩხს ფოთლიდან გადამობერტყავს. ხვალ დილით ზედ დღევანდელი ამბის ნიშანიც კი არ იქნება.

მაგრამ დაშრება ჭაობები, და ეს მცენარეც გაქრება ჩვენში, მას მარტო ტორფის ჭაობში შეუძლია ცხოვრება.



მეგობრებო, ხელი ხელს!

მუსიკა თ. შავშირაშვილისა

სიტყვები ლ. მთავარულიძისა



მე - გობრე-ბო ხე-ლი ხელს მი-ვესალომთო ოქ. ყომ-ბერს

ღე-ლა ღე-ლა ო - ღე-ლა ღე-ლა ღე-ლა ო - ღე-ლა

ღე-ლა ღე-ლა ო - ღე-ლა ღე-ლა ღე-ლა ო - ღე-ლა

წინ ნაბიჯი, წინ, წინ, წინ,
არ ჩამოგვრჩეს არავინ!

ღელა, ღელა, ოღელა,
ღელა, ღელა, ოღელა!




3. მკაცრი

გ ა მ ო მ ა ნ ე ბ ი

წუწკია და ყაჩაღია,
ლამით ქურდობს, დაწანწალებს,
თუ ნახა რამ მან თავლია,
წაიღებს მთლად, გააწყალებს.
გზა და კვალი კარგად იცის,
მუქთად ქაშს და მუქთად ძღება,
თუნდ კედელი შეხედეს ფიცრის.
კბილით გახრავს და გაძვრება.
ყველას პარავს, ყველას ართმევს,
არც ხათრი აქვს, არცა რიდი,
კუდს მიწაზე რომ მიათრევს,
იქნებ თქვენც კი დააკვირდით?!

მეტად მოუსვენარია,
დახტის, დაუდგრომელია.
შეხედულად კი წყნარია,
სქამს და არამშრომელია.
თავისათვის კეთილი სურს.
სხვისთვის ავის მდომელია,
ყველა წყველის და აძაგებს,
მიწა-მიწა მძრომელია,
ხუთჯერ ვამბობ იმის სახელს,
ახლა თქვენ თქვით რომელია.





1. სესე, ცაცა, სოსო და კაკო წავიდნენ ტყეში. მათ უკან გამოედევნათ პატარა ცუგა.

— შეჩერდით! — შეჰყვირა სესემ, დათვის ვხედავ, დათვის, აი სად არის დათვი!



4. აი უბედურება! დათუნამ გატობა წყალი, კაკო და ცუგა გარბიან თავის საშველად. სოსომ კი მოასწრო გადამალვა. სად არის სოსო?



2. — ვაი, ვაი! — იყვირეს ბავშვებმა, თავს ვუშველოთ!

ცაცა, სოსო და კაკო გარბიან თავქუდმოგლეჯილები. სესე კი გადაიკარგა, ის სადღაც დაიმალა.

სად არის სესე?



5. ცუგას საქმე ვერ არის კარგად, დათვი მას საცაა დაეწევა. კაკომ კი გადაუხვია გვერდზე და დაიმალა. სად არის კაკო?



3. სოსომ და კაკომ დათვის ოინი გაუკეთეს. ბურღლუნას ეზარება წყალში შესვლა. მაგრამ სად არის ცაცა?



6. „ეს როგორ მოხდა? — ფიქრობს დათვი: — სულ ხუთნი იყვნენ, ახლა კი ერთიც აღარ დარჩა. ლეკვიც კი სადღაც გაქრა“. სად არის ცუგა?